

თამუნა ინგოროყვა

ვერ ვიქნები სამხატვრო აკადემიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი. ძალიან მიყვარს და ვაფასებ ამ უმაღლეს სასწავლებელს. ეს იყო ადგილი, სადაც მოდის საფუძვლებს დავეუფლე. ჩემი პედაგოგი გახლდათ სოსო ბახტაძე, რომელმაც ეს პროფესია ძალიან შემეყვარა. თუმცა, თავიდან არასერიოზულად ვუდგებოდი არჩეულ პროფესიას. დამოკიდებულება მხოლოდ მას შემდეგ შემეცვალა, რაც საზღვარგარეთ წავედი სასწავლებლად. აკადემიაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მოდას, როგორც შემოქმედებით პროცესს ისე უდგებიან და ასწავლიან. ასეც უნდა იყოს, აკადემიურ სწავლებაში შემოქმედებითი მხარე გაცილებით განვითარებული, უნდა იყოს ვიდრე ტექნიკური. სასწავლო პროცესიც სრულებით მოშლილი. მხოლოდ ხატვას გვასწავლიდნენ. რაც შეეხება მოდას და აზროვნებას ამ სფეროში, ამ მიმართულებით ფიქრი მხოლოდ საზღვარგარეთ დავიწყე. მოდა მხოლოდ ხატვა, თარგის გამოჭრა და კერვა არ არის. მოდა აზროვნებაა. შეიძლება უბრალო მაისური შეკერო, მაგრამ მის მიღმა ცხოვრებისეული ფილოსოფია, ისტორია, გარკვეული ინფორმაცია იკითხებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგივეს მკერავიც შეიძლება. რაც შეეხება აკადემიის სტუდენტებს, კრიტიკული ვიქნებოდი... ჩემი თვალსაზრისით, აკადემიის სტუდენტებს დისციპლინა აკლიათ. მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ საქმეს. დისციპლინა ნებისმიერი პროფესიის ადამიანს სჭირდება.

ჟურნალისტი - ნინო , თქვენ საერთაშორისო სასწავლო პროგრამების მაგალითებზე დაყრდნობით, სხვადასხვა გამოცემაში, აქტიურად აქვეყნებთ მასალებს. ამ მიმართულებით საინტერესო ხედვა გაქვთ. რას დატოვებდით და შეცვლიდით Fashion განათლების სასწავლო პროგრამაში ?

ნინო მგალობლიშვილი

- ქეთი, დიდი მადლობა, რომ საშულება მოგვეცით და მოდის სფეროს სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები ერთად შეგვეკრიბეთ. ეს შესანიშნავი იდეაა. ვფიქრობ, ბევრი სათქმელი დაგროვდა და ჩვენთვის მნიშვნელოვანია აზრთა ურთიერთგაცვლა, იმ კრიზისული სიტუაციის გაანალიზება, რაშიც დღეს ვიმყოფებით. Fashion –განათლება, როგორც უმაღლესი მხატვრული განათლების ერთერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, ბუნებრივია, არსებულ საგანმანათლებლო კრიზისის ეპიცენტრში იმყოფება, არ იძლევა ადეკვატურ პასუხს თანამედროვე გამოწვევებზე. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის საინტერესოა აშშ-ის 1970-იანი წლების დასაწყისისათვის დიზაინ-განათლებაში შექმნილი

დამახასიათებელი ვითარება. შეიქმნა სიტუაცია მიახლოებული იმ მდგომარეობას, რაშიც დღეს აღმოჩნდა ქართული დიზაინ-განათლება. შედეგად, დაინერგა რამდენიმე ახალი მიმართულება, რომლებიც ჩვენთვისაც საინტერესოდ მიმაჩნია.

მათ შორის, ე. წ. ჰუმანიტარული დიზაინი. თამუნა, გეთანხმები, რომ „...მოდა მარტო ჭრა და კერვა არ არის და, რომ, მოდა აზროვნებაა...“. მიმაჩნია, სწავლის პროცესში სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ, აგრეთვე, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ. სხვათა შორის, ამერიკაში 1970-იანი წლების ვნებათა ღელვა რომ ჩანყნარდა, აღმოჩნდა, რომ ახალმა პროგრამებმა მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ამერიკული სისტემის დიზაინ-განათლების გადასვლას ხარისხობრივად ახალ დონეზე.

ჟურნალისტი - სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სამხატვრო აკადემიაში ხატვის შესწავლას ვერ გასცდნენ. ნინო, ეთანხმებით ამ მოსაზრებას ?

ნინო მგალობლიძეილი

უეჭველია, დიზაინერული განათლება უნდა იყოს მოქნილი და პასუხობდეს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნილებებს. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, არა მხატვრული უნარების განვითარების უგულველყოფისა და მხატვრული დისციპლინების სწავლების შესუსტების ფონზე.

ოთარ ქირია

მე სულ თავიდან დავიწყებ. ვეთანხმები ნინოს, რომ დიზაინტაკულტეტის სასწავლო პროცესში კრიზისია. ვერ დავეთანხმები, რომ ეს კრიზისი ახლა დაიწყო. კრიზისი სულ იყო. ჩვენთან დიზაინგანათლება იმ ფაზაშიც კი არ შესულა, რომ ელემენტარული მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ჩვენ იმაშიც კი ვერ ჩამოვყალიბდით, რომ სამოსი უნდა იყოს ისეთი, რომ მისი გამოყენება შეიძლებოდეს. მარკეტინგი კომერციის საფუძველია. აკადემიაში ამ მიმართულებით სტუდენტებს არაფერს ასწავლიან. თავად ჩამოვყალიბე ფემენ მარკეტინგის ტრენინგ ცენტრი `კაპ ბიზნეს ლაბორატორია`. რასაკვირველია ჩვენს ლაბორატორიაში ნსაუნივერსიტეტო პროგრამა არ გვაქვს, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ რომ ეს მიმართულება საქართველოში განვითარდეს. მაგალითად, სულ ახლახან `კარნეგი ცენტრის` ბიზნესკონსულტანტი გვყავდა მონწვეული. ვანარმოებთ `ჰერმესის` სახლის ერთ-ერთ მარკეტოლოგთან მოლაპარაკებებს და იქნებ წლის ბოლომდე ჩამოვიყვანოთ.

თამუნა ინგოროყვა

Fashion მარკეტინგი და დიზაინერის პროფესია ორი სხვადასხვა მიმართულებაა.

ოთარ ქირია

სწორედ ეს გახლავთ პრობლემა, რომ სხვადასხვა მიმნართულებებში განიხილავთ.

თამუნა ინგოროყვა

დიზაინერი შეიძლება ფლობდეს მარკეტინგის საფუძვლებს, მაგრამ მარკეტოლოგის პროფესია კიდევ სხვაა. თუმცა, საფრანგეთში ჭრა-კერვის პარალელურად მარკეტინგსაც გვასწავლიდნენ.

ოთარ ქირია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართულ ბაზარზე რომელი სახელებიც გამოჩნდა, მათგან მხოლოდ რამდენიმე დარჩა. ერთ-ერთი თამუნაა, მეორე ავთანდილი და კიდევ ორი-სამი დიზაინერი. ეს არიან ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ გავიდნენ. ნებსით თუ უნებლიეთ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამოსი თუ არ გაყიდვ, მასზე მოთხოვნა თუ არ არის, მაშინ მის წარმოებას აზრი ეკარგება. საქართველოში სამშენებლო ინდუსტრია განვითარდა, სხვა მიმართულებებიც, მაგრამ მოდის სფერო ისევ ერთ ადგილზეა გაჩერებული. არადა, მსოფლიოში, ფინანსური ბრუნვის მიხედვით, მოდის ინდუსტრია ლამის პირველ ადგილზეა. ეს აკადემიის ბრალი კი არაა, სახელმწიფოს ბრალია. აკადემიას შეუძლია სახელმწიფოს მეტი ყურადღება მოსთხოვოს.

ნინო მგალობლიშვილი

მოდის ინდუსტრიის პრობლემას თუ შევეხებით, ვფიქრობ, ამ გარემოებაში აკადემიას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის. სტუდენტებში ორიგინალური იდეების სიუხვეს ნამდვილად არ უჩივით. ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, დიზაინი დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ ხელოვნება. ყოველივე, რაც დიზაინერმა მოიგონა, უნდა იყიდებოდეს. მაგრამ, მოდის ბიზნესში რომ სტარტი აიღო, დიზაინერს დიდი რაოდენობის თანხა სჭირდება ჩასადებად. თუმცა ფინანსური უზრუნველყოფის პირობებშიც კი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ დამკვიდრებას. მოდის ბიზნესის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ არ გვყავს პროფესიონალი Fასჰიონ-მენეჯერები, რომელნიც შეძლებდნენ საავტორო ტანსაცმლის შესაბამისად წარმოჩენას და გასაღებას (მყიდველის მოზიდვას). აი ამ შემთხვევაში აკადემია გარკვეული მიზეზების გამო თავის დანიშნულებას აღარ ასრულებს.

თამუნა ინგოროყვა

გაუბედავ და საკუთარ გამოცდილებაზე მოგიყვებით : თავად განათლება საფრანგეთში, ფრანგული სისტემით მივიღე. თავადაც მინდოდა სასწავლებლის გახსნა, მაგრამ 2008 წლის ომმა შემიშალა ხელი. შემდეგაც ჩვენი ქვეყანა სულ პოლიტიკურ რყევებში იყო. საქართველოს დრო სჭირდება, რომ ეს სფერო გარკვეულ

დონემდე მივიდეს. ასევე, ახალგაზრდების აზროვნება, რომ თანხას, რომელსაც განათლებისთვის იხდიან, მათ რეალურ განათლებას მოხმარდეს. თუ სტუდენტი არ წამოგყვება, პედაგოგი ვერაფერს გააწყობს. სატრანსპორტში კი, ვინც არ სწავლობდა, ინსტიტუტიდან აგდებდნენ. საქართველოში ერთი პრობლემაა... შეიძლება უმაღლესი სასწავლებლების ფილიალებიც გაიხსნა, მოდის მარკეტინგიც ასწავლო, მაგრამ მაღალი დონის პროფესიონალებიც უნდა გყავდეს. ჩვენ ხომ ევროპაზე გვაქვს სწორება. სწორედ ევროპის და საერთაშორისო დონის სპეციალისტებს ვგულისხმობ. დიზაინერის პროფესია კომპლექსურ აზროვნებას ითხოვს. ძაფის ნემსში გაყრას რომ მასწავლიდნენ, ვნერვიულობდი, ვერაფრით ამეხსნა რაში მჭირდებდა. ასევე დანწყებული, მოდის მარკეტინგით დამთავრებული, ყველაფერი უნდა გვცოდნოდ. ხატვა აუცილებელი კომპონენტი იყო, იმიტომ რომ მხატვრული აზროვნების უნარი გვქონდა. ასევე, შენი აზროვნების გადმოცემა რომ შეგძლებოდა. კარგად უნდა გვცოდნოდ თარგი, მულიაუი, _ ყველაფერს კომპლექსურად უდგებოდნენ. მერე, სტუდენტი რომელ მიმართულებას აირჩევდა, მისი გადასაწყვეტი იყო. მეორე უდიდესი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში ყველას დიზაინერობა უნდა. მთელს მსოფლიოში მილიონზე მეტი ახალგაზრდა ამთავრებს ამ ფაკულტეტს, მაგრამ ყველა დიზაინერად კი არ მუშაობს?! ყველას არ აქვს ტანსაცმლის შექმნის უნარი. ვისაც კარგი სამოსის შექმნის უნარი აქვს, თარგზე ვერ მუშაობს, ან მარკეტინგშია სუსტი. ზოგი სტილს აწყობს კარგად. სტუდენტს თავად პედაგოგი ურჩევს რისი ნიჭი აქვს და რა მიმართულებით უნდა განავითაროს. ამიტომ ძალიან კარგი პედაგოგები უნდა გვყავდეს, რომ ეს ნიჭი სტუდენტში შენიშნოს და მიმართულება მისცეს. მოვიდოდა ხოლმე ჩვენი პედაგოგი ხელში დასრესდა ქალაქს, დააგორგილავენდა და გვეტყოდა: აი, ასეთი რამ მჭირდებაო. მერე ჩვენ ვისხედით და კონსტრუქციაზე ფიქრს ვინწყებდით. ასევე, მოითხოვდნენ, რომ პარიზში ყველაზე პოპულარულ კლუბებში გვევლო. თუკი ეტყოდი, რომ ასეთ კლუბებში სტუდენტებს არ გვიშვებდნენ, პედაგოგები აღშფოთებას ვერ დამალავდნენ: რას ქვია არ გიშვებენ, როგორც გინდათ შედითო. ასე უკეთ გავიგებდით რა იყო ტრენდი, _ დანწყებული მუსიკიდან, სტუმრების ჩაცმულობით დამთავრებული. ეს ცოდნა კოლექციაზე მუშაობისას გამოგვადგებოდა.

ოთარ ქირია

პირდაპირ გეტყვით და ერთ კითხვაში ჩამოვყალიბებ ჩემს დამოკიდებულებას : ტანსაცმელი თუ არ გაიყიდა, მაშინ მის შექმნას რა აზრი აქვს? გინდ საბჭოთა გამოცდილებას დააბრალოთ და გინდა გამოცდილებების არქონას. აქ შექმნილი ტანსაცმელი არ იყიდებოდა და არც ახლა იყიდება. დასავლეთში სრულიად სხვა მიდგომაა... როგორც კი მარკეტოლოგთა ჯგუფები გამოჩნდა ამ სფეროში, მოდის სახლებს იმხელა ფულადი ბრუნვა მოუტანა, რომ ერთი მიმართულება არ ეყოფოდა.

თამუნამ რომ აღნიშნა, რომ სპეციალისტები არ გვყვანანო. თუმცა მარკეტინგის სპეციალისტები საქართველოში გვყვანან. არავითარი მნიშვნელობა აქვს სინამდვილეში მარკეტინგი მოდისაა თუ `საქართველოს ბანკის`, _Mმარკეტინგი მარკეტინგია. მარკეტერის ფუნქცია იწყება მაშინ, როცა დიზაინერი თავის სამუშაოს ასრულებს, ან ამ სამუშაოს პარალელურად, _ ჯერ იკვლევ ბაზრის მოთხოვნას და მერე ქმნი სამოსს. მე რომ აკადემიის პედაგოგი ვიყო, აუცილებლად მოვითხოვდი მარკეტინგის სასწავლო პროგრამაში ჩასმას. ჩვენთან მოდის კვირეული ტუსოვკადაა გადაქცეული, არადა, უხეშად რომ ვთქვათ, მოდის კვირეული დროებითი ბაზარი უნდა იყოს.

ნინო მგალობლიშვილი

ოთარ, რა თქმა უნდა, ალტერნატიული არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები თავისი ტრენინგკურსებით რაც უფრო მეტი იქნება, მეტი კონკურენცია შეიქმნება და ხარისხიც ამაღლდება. თუმცა, ეს ტრენინგკურსები Fასჰიონ–განათლებაში სპეციალიზაციას არ ითვალისწინებს. სპეციალურ საბაზო ცოდნას სტუდენტი სამხატვრო აკადემიაში ღებულობს, მაგრამ, საბაზო სწავლების პროგრამები უთუოდ გადასახედა. დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს უამრავი პროფესია, რომელიც ემსახურება ამ დარგს: Fashion -მენეჯერები, Fashion -მარკეტოლოგები, Fashion -მერჩენდაიზერები, Fashion -ჟურნალისტები... . სამხატვრო აკადემიაში, ჯერჯერობით, ეს მიმართულებები არ არის განვითარებული. თუმცა, მოდერნიზაცია დაწყებულია. მაგალითისათვის შემოძლია დავასახელო ჩემს მიერ დამუშავებული სასწავლო პროგრამა „Fashion -მერჩენდაიზინგი“, რომელიც პირველი იყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ეს პროგრამა უკვე აპრობირებულია სამხატვრო აკადემიის მაგისტრატურის სწავლების პროცესში. Fashion –განათლებას ჰყავს, უთუოდ, კარგი პედაგოგები, ჩვენი კურსდამთავრებულები იღებენ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობას, მათი ნამუშევრები მოსწონთ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, კარგად იყიდებიან კიდევაც. მაგრამ, სამწუხაროდ, განათლების განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ პრობლემებზე, რომლებიც დღეისათვის რთულად გადასაჭრელია. და რჩება ჩვენი განათლების უმთავრესი პრობლემა - ვაკუუმი უმაღლეს განათლებასა და დღევანდელი რეალიტის შორის.

თამუნა ინგოროყვა

ჩემთვის Fashion Week დროებითი ბაზარი არაა. ჩემთვის Fashion Week არის იმ დიზაინერის, ხელოვანი ადამიანის შემოქმედების გარეთ გამოტანის შესაძლებლობა. Fashion ჩემთვის ხელოვნებაა.

ოთარ ქირია

გეთანხმები, მაგრამ ვივინ ვესტკუდი გაიყიდა, რადგან კონცეფციის კრიზისი

დაეწყო. ფაქტია, შენ თუ ინსპირაციას გაყევი და მეტი არაფერი, შენი პროდუქტი არ გაიყიდება.

თამუნა ინგოროყვა

ჩემთვის შენ ჩვეულებრივი მარკეტოლოგი ხარ და ამ გადმოსახედიდან მათასებ.

ოთარ ქირია

ასეც უნდა იყოს. მე მარკეტოლოგი ვარ. დიზაინერი დაფრინავს, მარკეტოლოგი კი მას მიწაზე უშვებს. რთულია, გეთანხმები, დიზაინერი შემოქმედი აღამიანია, მაგრამ სამოსი თუ არ გაყიდა, მაშინ ბაზარზე ვერ დაიმკვიდრებს ადგილს. მაგალითად, მარკეტოლოგების მოთხოვნას მაქეუინმა ველარ გაუძლო და თავი მოიკლა. დღეს სამყაროში ყველაფერი კომერციაზე დადის. მოდა თუ სახალხო არ გახდა, მაშინ დაკიდე კარადაში ტანსაცმელი და უყურე.

თამუნა ინგოროყვა

რასაც ახლა ამბობ, მე მტკივა. მოდის ინდუსტრიაში ძლევამოსილი კორპორაციებია, რომლებიც მოდის სახლებს შთანთქავენ. ივ სენ ლორანი ქმნიდა მოდას, მაგრამ ყიდიდნენ მარკეტოლოგები. მარკეტინგის გარეშე მოდა ნულს გაუტოლდებოდა, მაგრამ მოდას მაინც დიზაინერები ქმნიან.

ჟურნალისტი - შორს რომ აღარ წავიდეთ, სამხატვრო აკადემიაში საბაზისო ცოდნასა და რეფორმებზე საუბარს დავუბრუნდეთ. რეფორმების გატარებაში სამხატვრო აკადემიას რა უშლის ხელს ?

ნინო მგალობლიშვილი

ბევრი რამ „უშლის ხელს“. მთავარია, ალბათ, ინდუსტრიის არარსებობა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება და ფინანსური მხარდაჭერა. სახელმწიფომ სტრატეგია უნდა მოხაზოს, თორემ პრაქტიკული მიმართულება ჩვენ თვითონ, ამ პროცესის უშუალო მონაწილეებმა, უნდა გამოვიმუშაოდ და წავრმართოდ. რა თქმა უნდა, საკუთარი გამოცდილებისა და მსოფლიო მიღწევების გათვალისწინებით. აუცილებელია სპეციალისტის მომზადების მიზნები და შინაარსი იცვლებოდეს დროის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია უკვე დაგროვილი გამოცდილებიდან კი არ უარყოფდე რაიმეს, არამედ, პირიქით, მდიდრდებოდე ახალი პედაგოგიური კონცეფციებით. მაგრამ არ შემოძლია არ ავლნიშნო, რომ ძირითადი და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ლექტორს. აუდიტორიაში უნდა შედიოდეს პედაგოგი ექსპერიმენტატორი, რომელიც სასწავლო პროცესში ეძებს და წერგავს სწავლების ახალ ფორმებს. ასევე აუცილებელია სასწავლო პროცესს მორგებული ფართო სპექტრის პროექტებისა და

პროგრამების აპრობირება და გამჭირვალობა, ინოვაციური სივრცის შექმნა. რაც მთავარია, და, არ გამომრჩეს, ჩართვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებში. სხვათაშორის, აკადემიაში, საერთო ძალისხმევით, ეს პროცესები დაწყებულია.